ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/14

შეკითხვა:

სამართალდამცავებმა დააკავეს ადვოკატ "A"-ს შვილი. დაკავების დროს მოწმედ დაკითხეს ადვოკატი „A". შეუძლია თუ არა აღნიშნულ ადვოკატს თავისი შვილის ინტერესები დაიცვას მოცემულ საქმეზე?

ანალიზი:

ადვოკატი თავისი შვილის საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა მოწმედ, რაც მას უკრძალავს დაიცვას თავისი შვილის ინტერესები, როგორც ადვოკატმა მოცემულ საქმეზე. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო

მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

დასკვნა:

ადვოკატს ეკრძალება პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზედაც ის მოწმის სტატუსით დაიკითხა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.